პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 82 (10779) | შაბათი, 6 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება

დღითიდღე ფართოვდება, სულ უფრო აქტიური და ღრმა ხდება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში ხედავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის დიდი ლენინური პრინციპების შემდგომ განვითარებას. ყველა რესპუბლიკაში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს თეზისების განხილვა, სახავენ მზარდი მრავალდარგოვანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახლებურად გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, თანმიმდევრულად ახორციელებენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, განუწყვეტლივ ზრუნავენ რვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის. ამ საფუძველზე განმტკიცდა ღრმა ნდობა სსრ კავშირის ხალხთა შორის, მათი მტკიცე, ურღვევი მეგობრობა.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა შესაძლებლობანი ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ვრცელი საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა განუხრელად იყო დაკავშირებული საწარმოო ძალების ახალ განლაგებასთან, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველი ღონისძიებით დამუშავებას, მათი მეურნეობისა და კულტურის ჰარმონიულ განვითარებას. ამრიგად, საწარმოო ძალების ახალი, სოციალისტური განლაგება განუყრელად იყო დაკავშირებული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმების შესრულებამ, კულტურული რევოლუციის განხორციელებამ ძირეულად შეცვალა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სახე. მათში შექმნილია მძლავრი მრეწველობა და მაღალმექანიზებული სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გამოჭედილია სახალხო ინტელიგენციის კადრები მკვიდრი მოსახლეობიდან, განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის ინდუსტრიის განვითარება. 1913 წელთან შედარებით უაზახეთის სსრ ტერიტორიაზე მდებარე მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1956 წელს გაიზარდა 36-ჯერ, საქართველოს სსრ — 30-ჯერ, ყირგიზეთის სსრ — 42-ჯერ, სომხეთის სსრ — 45-ჯერ, ტაჯიკეთის სსრ — 27-ჯერ.

განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ხალხების კულტურა. რევოლუციამდე ტაჯიკეთში წერა-კითხვის ერთი მცოდნე მოდიოდა 200 კაცზე, ხოლო სკოლები სულ 10 იყო. ახლა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში 2.600-მდე სკოლაა, რომლებშიც 300 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს. 1924 წელთან შედარებით 46-ჯერ გაიზარდა ყირგიზეთის სსრ სკოლებში მოსწავლე ბავშვთა რიცხვი, 34-ჯერ — თურქმენეთის სს რესპუბლიკაში და ა. შ. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი სწავლა.

იქ, სადაც უმაღლესი განთლების მქონე ადამიანები რევოლუციამდე ერთეულები იყვნენ, ახლა გაიზარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი. ასეთი სპეციალისტები ახლა უზბეკეთში 150 ათასია, უაზახეთში — 230 ათასი და ა. შ. მარტო ომამდელ დროსთან შედარებით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი გაიზარდა: უაზახეთში — 3,8-ჯერ, ყირგიზეთში — 4,8-ჯერ, ტაჯიკეთსა და მოლდავეთში — 3,4-ჯერ, თურქმენეთში — 3,3-ჯერ, ესტონეთში — თითქმის სამჯერ და ა. შ.

მეცნიერ მუშაკთა კადრების ზრდის მეოხებით თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიები, რომლებიც წლითიწლობით იზრდებიან და მტკიცდებიან, აძლიერებენ თავიანთ როლს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

ახალი გრანდიოზული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებას მოსდევს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ყველა ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცება. და რაც უფრო ფართოა სსრ კავშირის ხალხთა აღმშენებლობითი საქმიანობის გაქანება, რაც უფრო გრანდიოზულია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების გეგმები, მით უფრო დაბეჯითებით მოითხოვს ცხოვრება სსრ კავშირის ხალხთა კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

ომისშემდგომ პერიოდში მიღწეულმა წარმატებებმა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, მათი კადრების ზრდამ განაპირობა საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის კიდევ უფრო გაძლიერების შესაძლებლობა და საჭიროება. წამოაყენა რა სსრ კავშირის შექმნის იდეა, დიდი ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა მოკავშირე რესპუბლიკების ინიციატივის ყოველმხრივი განვითარების საჭიროებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აიღო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების, სახალხო მეურნეობის მართვაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერების კურსი. ყრილობის მითითებები წარმატებით ხორციელდება. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელი სესიის გადაწყვეტილებებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებზე.

პარტიის XX ყრილობაზე აღებულმა კურსმა — სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების კურსმა უკვე მოიტანა დადებითი შედეგები. ამ კურსის თანმიმდევრულად განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების უფრო სწორად განლაგებას და ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებას.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ითვალისწინებენ სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებების შემდგომ გაფართოებას.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის განზრახული გარდაქმნა საშუალებას მისცემს რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ორგანოებს მნიშვნელოვნად გააფართოონ თავიანთი გავლენა მთელი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობასა და შემდგომ განვითარებაზე.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის განუხრელი მიახლოება მასებთან დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების საფუძველზე კიდევ უფრო გააძლიერებს მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას. საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში თვითეული რესპუბლიკის მშრომელები შეძლებენ მით უფრო მეტი წვლილი შეტანონ საერთო-სახალხო საქმეში, რაც უფრო სრულად გამოიყენებენ ისინი თავიანთი რესპუბლიკის შესაძლებლობებს.

ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უფრო ფართოდ განავითარონ ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივა მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიური განვითარების ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებების, ბუნებრივი პირობებისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, მათი მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციასთან და საკავშირო-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში საერთო საკავშირო საწარმოთა გადაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ამხანაგი გამოთქვამს შიშს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისის შესუსტება ჩვენი საბჭოთა მეურნეობის განვითარებაში. ასეთი მოსაზრებები სწორი არ არის. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი 15 თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან შემდგარი სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მართვა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე, რომელშიც განზოგადებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გეგმები. ამ გეგმებში შეხამებულია ცალკეული მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ინტერესები, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების, მთლიანად საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ინტერესები.

იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად მაღლდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების როლი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, აღნიშნულია მოხსენების თეზისებში, მიზანშეწონილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება შესაძლებელს გახდის უფრო სწრაფად გადაიჭრას ამა თუ იმ ეკონომიური რაიონის ეკონომიკის კომპლექსური განვითარების საკითხები. უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობასთან ერთად ამას ექნება აგრეთვე პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა, ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, გაიზარდოს კადრები ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნებიდან.

„პრავდის“ 5-IV მოწინავე.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ვორონეჟში

ვორონეჟი, 4 აპრილი. (საკ.დესი). დღეს დილით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვორონეჟის ოლქის რაიკომების მდივნებსა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების პრაქტიკულ ამოცანებზე.

დღისით ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი იყო მანქანათმშენებელ ქარხანაში, დაათვალიერა მისი საამქროები. ესაუბრა საწარმოს მუშებს, ინჟინრებსა და ხელმძღვანელებს, გაეცნო საწარმოო გეგმის შესრულებას, მუშების ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი იყო კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში.

ქალაქის დათვალიერებისას ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ეცნობოდა ვორონეჟელთა ცხოვრებას, დაათვალიერა სასურსათო მაღაზია, ესაუბრა მყიდველებს.

საღამოს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ეთათბირა ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელებსა და პარტიულ მუშაკებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **კ. ე. ვოროშილოვს**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ა. ბულგანინს**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს**

მოსკოვი

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო უნგრეთის მშრომელი ხალხი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი და რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი სულით და გულით ძმურ სალამს უთვლიან მოძმე საბჭოთა ხალხს — განმათავისუფლებელ ხალხს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა ხალხის გმირმა შვილებმა 12 წლის წინათ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნეს ჰიტლერელი ფაშისტი ოკუპანტები, თავისუფლება მოუტანეს ჩვენს ხალხს და ამით შესაძლებლობა მისცეს უნგრელ მშრომელებს კომუნისტების ხელმძღვანელობით დასდგომოდნენ სოციალისტური განვითარების გზას. მას შემდეგ საბჭოთა კავშირი უანგაროდ უჭერდა მხარს ჩვენს სამშობლოს ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა სახელმწიფოთა სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. გასული წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირმა კვლავ დაამტკიცა თავისი ნამდვილი მეგობრობა ჩვენი ხალხისადმი, როცა დაეხმარა მას გაენადგურებინა კონტრრევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო ხელისუფლების ჩახშობას და რომელიც იმპერიალისტთა ხელშეწყობით გაჩაღდა, აგრეთვე დაეხმარა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

უნგრელ მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმის გზით მიდიან, მუდამ ეხსომებათ, რომ თავიანთ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, თავიანთ მშვიდობას ისინი უნდა უმადლოდნენ პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მოლაპარაკება ჩვენს მთავრობებსა და პარტიებს შორის, რაც ამ დღეებში მოხდა, გულწრფელად ასახავდა ჩვენი ხალხების საერთო სურვილს შემდგომ გააღრმაონ და გააფართოონ ერთობა და ძმური თანამშრომლობა ჩვენს სახელმწიფოებსა და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანას შორის.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ამ მოლაპარაკების სულისკვეთებით ჩვენი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას, უნგრეთში სოციალიზმის აშენებას.

გაუმარჯოს უნგრელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს განმათავისუფლებელს — მოძმე საბჭოთა ხალხს, რომელიც სოციალისტური ბანაკის სათავეშია!

იუტვან დობი
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

იანოშ კადარი
უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ **ა. ა. გრომიკოს**

ქ. მოსკოვი.

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო მიიღეთ, ამხანაგო მინისტრო, ჩემი გულითადი მეგობრული სალამი.

საბჭოთა კავშირის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მეოხებით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი, ბედნიერი, შედეგებით მდიდარი ეპოქა. ოქტომბერ-ნოემბრის კონტრრევოლუციის დღეებში შინაური და გარეშე რეაქცია ცდილობდა მოესპო ეს მიღწევები და მონაპოვარნი. მაგრამ თავდადებული ძმური დახმარების მეოხებით, რაც საბჭოთა კავშირმა გაგვიწია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მოხერხდა ჩვენი სოციალისტური მონაპოვრების დაცვა.

უნგრელმა ხალხმა იცის, რომ ბედნიერება და წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ძმური ერთიანობით, ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ხალხების ბეშმარიტი მეგობრობა და ჩვენი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობა, რაც გასულ თვეში მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად კიდევ უფრო გაღრმავდა, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების შემდგომ აყვავებას და ჩვენი საერთო მეცადინეობის წარმატებას, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება.

იმრე ხოვატი
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებანი

ამ დღეებში თელავში გაიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს გასული წლის შედეგები და დასახეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. თათბირის მონაწილეებმა რაიონის კოლმეურნეებს, მტს-ის მექანიზატორებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და ყველა მუშაკს მიმართეს მოწოდებით — ფართოდ გააჩაღონ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი: მიიღონ 1957 წელს 1.420 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობებში სულ ცოტა 70 ცენტნერი ყურძენი და საბჭოთა მეურნეობებში — 75 ცენტნერი. სოფელ სანიორის არტელ „პირველი მაისის“ კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 110 ცენტნერი ყურძენი, სოფლების რუისპირისა და კისისხევის კოლმეურნეობებმა — ას-ასი ცენტნერი. მევენახეებმა გადაწყვიტეს ჩაბარონ წელს სახელმწიფოს შარშანდელზე 1.000 ტონით მეტი ყურძენი. ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებულია წელს რაიონში გაშენდეს 330 ჰექტარი ვენახი და 30 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

რაიონის კოლმეურნეები იბრძოლებენ იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 17 ცენტნერი მარცვლეული, აქედან ხორბალი — 14 ცენტნერი, სიმინდი — 30 ცენტნერი. მათ გადაწყვიტეს მოსავალი აიღონ შემჭიდროებულ ვადებში და ვადამდე შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა. ვალდებულება იკისრეს [illegible] ფართობზე მიიღონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ყოველ ფერმაზე მიიღონ 1.200 კილოგრამი რძე, გასულონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 4.000 ღორი, თვითეულ ცხვარზე მიიღონ 2,7 კილოგრამი მატყლი, თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე — 70 კვერცხი.

გათვალისწინებულია ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მიიღონ 90 ცენტნერი ხორცი, 10 ცენტნერი ღორის ხორცი, 68 ცენტნერი რძე, 5 ათასი ცალი კვერცხი. ყოველ დედაღორზე გაზარდონ 12 გოჭი და ყოველ 100 ცხვარზე — 100 ბატკანი.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის დავალებანი, აგრეთვე წარმატებით გაანაღდონ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა.

მტს-ის მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ მოკლე ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრონ კომბაინებისა და თივის ასაღები მანქანების შეკეთება, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, უფრო სრულად გამოიყენონ ტექნიკა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძოლებენ იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვები, უკეთ მოაწყონ შრომა.

თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს განაგრძონ 1957 წელს სოციალისტური შეჯიბრება ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის. (საქდესი).

ბოლნისის რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის კვარტალური გეგმა შეასრულა

ბოლნისის რაიონის მშრომელებმა 1 აპრილისათვის შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის კვარტალური გეგმა. ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 172 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებმა შეასრულეს 177 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეებმა — 106 პროცენტით; რძისა — 133 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებმა შეასრულეს 138 პროცენტით, კოლმეურნეებმა — 118 პროცენტით; კვერცხისა — 363 პროცენტით; ტყავის ნედლეულისა — 167 პროცენტით. კოლმეურნეებმა დამზადების წლიური გეგმა შეასრულეს: კვერცხისა — 102 პროცენტით, ტყავის ნედლეულისა — 100 პროცენტით. (საქდესი).

გარდაბნის რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების კვარტალური გეგმა შეასრულა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 20 მარტისათვის შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების საკალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის კვარტალური გეგმა. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა შესრულებულია 142 პროცენტით, რძისა — 156 პროცენტით, კვერცხისა — 132 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქდესი).

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. პ. მჟავანაძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, მ. დ. ჩუბინიძემ, ა. ვ. კოვანოვმა.

მოხსენება გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს ახალგაზრდობის მუშაობის შედეგებისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ბ. ჯანელიძემ.

— მხურვალედ ეხმაურებიან რა პარტიისა და მთავრობის მოწოდებას, — თქვა მომხსენებელმა, — კომკავშირელები და სოფლის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდობას სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში მცხეთის, ჩოხატაურის, ახმეტის, თელავისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. ჩხოროწყუს რაიონში ახალგაზრდულმა ბრიგადებმა საშუალოდ ჰექტარზე აიღეს 47 ცენტნერი სიმინდი, წალენჯიხის რაიონში — 46 ცენტნერი.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელების საკითხებს.

გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირმა ა. გულმაგარაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ კოლმეურნეობის ახალგაზრდა მევენახეებმა საშუალოდ ჰექტარზე 100-მდე ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ყურძნის მოსავალი ჰექტარზე 110 ცენტნერამდე გაადიდოს.

შეკრების მონაწილეებმა ბევრი საუბარი გაგიმართეს ამ ორ ტელის ნოემბერში ჩაატარა ილაპარაკა ამ ორ ტელის მემინდვრემ კომკავშირელმა კ. სანდუხაძემ.

საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. თ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შარშან ფერმებში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნეს 200-მდე კომკავშირელი.

საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. კვიციანიამ ილაპარაკა ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის ზრდაზე, კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლების წარმატებებზე ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში.

ორატორებმა გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, რომლებსაც სუსტი კავშირი აქვთ ძირეულ კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

— ახალგაზრდა პატრიოტები — კომკავშირელები და სოფლის ახალგაზრდობა, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ დიდ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დაუსახეს სოფლის მეურნეობას კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. მათი შრომითი საქმეები და ინიციატივა ყოველნაირად უნდა წავახალისოთ და მხარი დავუჭიროთ. პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ახალგაზრდობის ენთუზიაზმი გამოიყენონ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის საბრძოლველად.

* * *

სოფლის მეურნეობის 700-ზე მეტი ახალგაზრდა მოწინავე, აგრეთვე მთელი რიგი რაიონული და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები შეკრებაზე დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით, ძვირფასი საჩუქრებით და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საგზურებით. ბევრი მათგანის სახელი შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც გ. კორძაძე ხელმძღვანელობს. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის გადაეცა ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ რგოლს, რომელსაც მ. ქანდარია ხელმძღვანელობს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის საგარეჯოს რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში, ხოლო კომკავშირის საგარეჯოს რაიკომი დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელითა და მოტოციკლით. საქართველოს ალკკ მესტიისა და ბოლნისის რაიკომები მეცხოველეობის საკვების დამზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის შეტანილი არიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში, დაჯილდოებული არიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

* * *

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობისადმი. მიმართვა შეიცავს მოწოდებას — ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, იმისათვის, რომ 1957 წელი გახდეს გარდატეხის წელი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. (საქდესი).

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) თელავის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ტ. ბასილაშვილი, თეთრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. კამინინი, მახარაძის რაიონის გენიჩესკის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე ლ. კილაძე, ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი პ. დარსანია, ბოლნისის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ა. ალახვერდოვა, მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე მ. ცერცვაძე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა

* *

ერთი საყურადღებო საკითხის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოქვეყნებული ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ისეთი გარდაქმნისა და მძლავრი განვითარების ამოცანებს სახავენ, რომელთა განხორციელება დააჩქარებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას.

თეზისებში დასახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომ გაფართოებას და მეურნეობის მართვის საქმეში მათი როლის გაძლიერებას. ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირში შემავალი მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკის აყვავება და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო განვითარება.

ყოველი მოძმე რესპუბლიკა ამჟამად სამეურნეო და კულტურული განვითარების იმ დონეზეა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ბევრი ისეთი დიდი საკითხი, რომელთა გადაჭრა აქამდე მის კომპეტენციაში არ შედიოდა. სწორედ ამ გარემოების გამო სავსებით კანონზომიერია მათი უფლებების სულ უფრო მეტად გაფართოება როგორც ეკონომიკის, ისე კულტურული მშენებლობის დარგში.

ჩვენ გვინდა შევეხოთ სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლების საკითხს. ცნობილია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს მეცნიერების მთელ რიგ დარგებში მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება არა აქვთ, ხოლო იმ დარგებში, სადაც ასეთი უფლება აქვთ, იგი სრული არ არის, ვინაიდან მოითხოვს საბოლოო დამტკიცებას სსრ კავშირის უმაღლეს განათლების სამინისტროს უმაღლეს საატესტაციო კომისიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ საქმეში ზედმეტი ცენტრალიზაცია, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადების, მეცნიერული აზრის განვითარების ხაზით.

არის თუ არა მოკავშირე რესპუბლიკებში მომზადებული ნიადაგი იმისათვის, რომ მათ ჰყავდეთ თავიანთი უმაღლესი საატესტაციო კომისიები და საბოლოოდ ადგილზე წყდებოდეს სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების საკითხი? უთუოდ არის.

თეზისებში დასახელებული არიან უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკები იმის მაგალითად, თუ როგორ გაიშალა იქ სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი და აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ცხადია, ამ რესპუბლიკებთან ერთად ყოველ სხვა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს ბევრი საამაყო მონაპოვარი ეკონომიკისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად არის მეცნიერებათა აკადემია და 150-მდე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 79 აკადემიკოსი და წევრი-კორესპონდენტი, 357 მეცნიერების დოქტორი და 2.556 კანდიდატი მუშაობს. რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო დაწესებულებები მეცნიერების თითქმის ყველა დარგში აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, ჰყავთ მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები, რომელთაგან ბევრი მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი და რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და მსოფლიო მეცნიერული აზრის საერთო საგანძურში.

ახლა, როცა ვემზადებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად, საამაყის გრძნობა გვიპყრობს იმის გამო, რომ ყველა ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკა განვითარების მაღალ დონეზე დგას, და მათი წინანდელი ჩამორჩენილობა სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული განვითარების ახლანდელ მაღალ დონეზე ნამდვილად მომწიფებულია ნიადაგი იმისათვის, რომ სხვა უფლებებთან ერთად მათ მიეცეთ უფლება შექმნან თავიანთი უმაღლესი საატესტაციო კომისიები, რომლებიც კომპეტენტური იქნებიან, რათა ადგილზე საბოლოოდ გადაწყვიტონ სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების საკითხი მეცნიერებათა ყველა იმ დარგში, რომლებიც ამა თუ იმ რესპუბლიკაშია წარმოდგენილი.

უეჭველია, ამ საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეცნიერული აზრის განვითარებას, რაც ესოდენ საჭიროა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ს. ლარცულიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის საკერავი საამქროს აგიტატორი ბ. ფოცხვერაშვილი მუშებს უკითხავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

მატერიალური მომარაგების გაუმჯობესება წარმატების საწინდარია

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მრავალრიცხოვან მშენებლობებზე დიდი ყურადღებით განიხილავენ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

3 აპრილს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლში გაიმართა სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის თბილისის სამკერვალო საწარმოთა აქტივის კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ სამკერვალო მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს. მოხსენებებით ამ თემაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. გამყრელიძე და თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ჰ. ოსპიშჩევა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ძლავრი სამკერვალო მრეწველობა. ამჟამად სამკერვალო საწარმოები უშვებენ 1 მილიარდ მანეთზე მეტი თანხის მზა ნაწარმს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასორტიმენტი, გაუმჯობესდა ხარისხი. მიუხედავად მოწეგებისა, მკერავთა მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული ნაკლოვანებაა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მრეწველობის ამ დარგის მართვის, მოუქნელი და არაოპერატიული ხელმძღვანელობით არის გამოწვეული.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობა 200-მდე სამკერვალო საწარმოს მოიცავს. ეს საწარმოები 12 სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების დაქვემდებარებაშია. ზოგიერთი მათგანი ეკუთვნის ვაჭრობის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ციკავშირს. სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ და სხვა უწყებებს, რომლებსაც თავიანთი პროფილის მიხედვით არ შეუძლიათ კვალიფიციური ხელმძღვანელობა გაუწიონ მკერავთა მუშაობას. გარდა ამისა, ასეთი მდგომარეობა აძნელებს საწარმოებში ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, საწარმოთა სპეციალიზაციას. რასაკვირველია, სამკერვალო მრეწველობის ერთი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა, რომელიც გააერთიანებს სამკერვალო საწარმოებს, ძირეულად გაუმჯობესებს წარმოების მართვას, შექმნის პირობებს მრეწველობის ამ მნიშვნელოვანი დარგის სწრაფი აღმავლობისათვის.

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობას შეუძლია დააკმაყოფილოს სამკერვალო საწარმოთა მოთხოვნილება ქსოვილებზე, მაგრამ ნედლეული სამკერვალო მრეწველობისათვის შორეული რაიონებიდან შემოაქვთ, ხოლო ჩვენი საფეიქრო ფაბრიკების პროდუქცია სხვაგან მიაქვთ. მაგალითად, 1955 წელს ნედლეულის 68,2 პროცენტი შემოზიდულ იქნა სხვა რესპუბლიკებიდან. შარშან გორის ბამბეულის კომბინატმა სამკერვალო საწარმოებს მიაწოდა მათთვის საჭირო ბამბეულის ქსოვილების მხოლოდ 4 პროცენტი. დანარჩენი ნედლეული შემოტანილ იქნა სხვადასხვა რაიონებიდან.

მატერიალური მომარაგების მოუწესრიგებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოს საფეიქრო მრეწველობა მცირე რაოდენობით უშვებს ან სრულიად არ ამზადებს ჩვენი სამკერვალო საწარმოებისათვის საჭირო ასორტიმენტის ქსოვილებს. წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვფხვრათ უწყვეტივი დავა, რაც დღემდე ხელს უშლიდა საფეიქრო მრეწველობის სწორად დაგეგმვას. საჭიროა გარდაიქმნას გორის ბამბეულის კომბინატის საწარმოო პროგრამა ისე, რომ მან დაიწყოს სასარჩულე სატინის, ხალათებისათვის საჭირო ფანელისა და ბამბაზიის გამოშვება.

როგორც ცნობილია, მეხუთე ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის მატება ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მოხდა, ხოლო საქართველოს სამკერვალო მრეწველობაში პროდუქციის მატება მუშათა რაოდენობის გადიდებით განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სამკერვალო მრეწველობის საწარმოებში ახალი ტექნიკა არ ინერგებოდა ისეთი ტემპით, როგორც საჭირო იყო, ხოლო მანკიერი დაგეგმვის გამო საწარმოებს დავალებები თანდათან უდიდდებოდათ, მიუხედავად მათი ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონისა.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ მრეწველობასა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავითვალისწინოთ თვითეული საწარმოს მოთხოვნილებები, დროზე მოვამარაგოთ ისინი საჭირო ტექნიკით, რაც საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საწინდარია.

კონფერენციამ მოუწოდა სამკერვალო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს გულდასმით შეისწავლონ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, შეიმუშაონ წინადადებანი მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის.

გამოვიყენოთ რეზერვები, გავაიაფოთ მშენებლობა

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დასახულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

უწყებრივი ზღუდეების ლიკვიდაცია, სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი დაქვემდებარება მნიშვნელოვანწილად შეამცირებს ზედმეტ კანცელარიულ მიმოწერას, მუშახელის დენადობას და წარმოებისათვის გაათავისუფლებს ბევრ კვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს.

მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ახლანდელ მეთოდს აქვს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები, რომლებიც აფერხებენ სამშენებლო ორგანიზაციათა შინაგანი რეზერვების გამოყენებას. მაგალითად, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტს ბათუმში აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ყოველწლიურად შეასრულოს 30 მილიონამდე მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ტრესტმა 1956 წელს 23 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა. ვფიქრობდით, რომ მიმდინარე წელს ტრესტს დაუგეგმავდნენ სულ მცირე 25-30 მილიონი მანეთის სამუშაოს, რომლის შესრულებისათვის რეალური შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ მას წელს სულ დაუგეგმეს 13 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოთა შესრულება. გეგმაში არ შესულა 1956 წლიდან გადმომავალი 12 მილიონი მანეთის მოცულობის ობიექტები უწყებრივი შეუთანხმებლობის გამო. ორი თვის კანცელარიული მიმოწერისა და საქმის გაჭიანურების შემდეგ ტრესტს, როგორც იქნა, უფლება მისცეს წელს დამატებით შეასრულოს 7 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ხელფასის ფონდის გაუთვალისწინებლად და დამკვეთთა მასალებით. ამრიგად, ტრესტის წლიური გეგმა განისაზღვრება 20 მილიონამდე მანეთით, საიდანაც ქალაქ ბათუმში ნავარაუდევია 15 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოების შესრულება, დანარჩენებისა ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ბათუმში არის კიდევ 15 მილიონი მანეთის სამუშაოები, მათ შეასრულებენ ქალაქის სხვადასხვა წვრილი სამშენებლო ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების არსებობა ხელს უწყობს მუშახელის დენადობას, ერთი მშენებლობიდან მეორეზე გადაყვანას. ეს მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციათა სამუშაოების შესრულება თავისუფლად შეეძლო ჩვენს ტრესტს. ერთ ქალაქში უწყებრივ სამშენებლო ორგანიზაციათა ლიკვიდაცია კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მშენებლობებზე მუშახელის შენარჩუნების მხრივ, რამდენადაც მოისპობა ხელფასის განსხვავება სხვადასხვა უწყებათა მიხედვით.

ბათუმში საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის გარდა არსებობს მთელი რიგი წვრილი სამშენებლო საიჯარო და სამეურნეო ორგანიზაციები, მაგალითად, კვების მრეწველობის სამინისტროს № 14 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, გემთშემკეთებელი ქარხნის სამშენებლო კანტორები, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, თევზის ქარხნის, ტყავნეულეულის ბაზის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო კანტორები და სხვ. ისინი სხვადასხვანაირად ანაზღაურებენ ერთი და იმავე სახეობის სამუშაოს, რაც მუშახელის დენადობის გაძლიერებას იწვევს. განსაკუთრებით გამარტივდება დამოკიდებულება „მოიჯარეებსა“ და „დამკვეთებს“ შორის იმის შედეგად, რომ გაუქმდება პირდაპირი ხელშეკრულებებით სამშენებლო სამუშაოების შესრულება. როგორც ცნობილია, პირდაპირი ხელშეკრულებებით „დამკვეთნი“ ვალდებულნი არიან მშენებლობებს მიაწოდონ ძირითადი საშენი მასალები ანუ ფონდები, რომელთა აღრიცხვაზე, გაანგარიშებაზე და დამკვეთებთან მიმოწერაზე ცდებიან კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. დამკვეთთა მიერ საშენი მასალების დროზე მიუწოდებლობა ხშირად იწვევს მშენებლობის ჩაშლას.

სამშენებლო საქმისადმი ვიწრო უწყებრივ დამოკიდებულებას ბევრჯერ შედეგად მოსდევს ზედმეტი კაპიტალდაბანდება და სახელმწიფო სახსრების უმიზნო ხარჯვა. მაგალითად, № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტს ბათუმში აქვს ასფალტ-ბეტონის მექანიზებული ქარხანა, რომელიც ცვლაში 80 ტონა ასფალტ-ბეტონის მასას გვაძლევს. ეს მასა სავსებით საკმარისია აჭარისათვის. მიუხედავად ამისა, ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი შეუდგა ახალი, ნახევრადმექანიზებული ასეთივე ქარხნის მშენებლობას, რაზეც ასეულ ათასობით მანეთი იხარჯება. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს ქარხანა სრულიად ზედმეტია, ვინაიდან არასრულად იქნება გამოყენებული ასფალტ-ბეტონის არსებული ქარხანა, ხოლო არამექანიზებული საწარმო უარეს და უფრო ძვირ პროდუქციას მოგვცემს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ აქვს საკუთარი ტრანსპორტი, რომ ადგილზე მიიტანოს ინერტული და მზა მასა. მას სრულებით არა ჰყავს ასფალტის დამამზადებელი და დამგები სპეციალისტები. ამის გამო ცდილობს წაიყვანოს სამუშაოდ ჩვენი სპეციალისტები. უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ასფალტ-ბეტონის ოთხი სპეციალისტი უკვე წაიყვანა ტრესტიდან და მოეწყო საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორაში, რომლის მეშვეობითაც საქალაქო საბჭოს აღმასკომი აწარმოებს ამ მუშაობას.

სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მშენებლობის ერთიანი დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს მთლიანად გამოვიყენოთ სამშენებლო ორგანიზაციების არსებული შინაგანი რეზერვები და გავაიაფოთ მშენებლობა.

ნ. ჯუღნია,
საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი.

ორმოცი წლის წინათ

1917 წლის 21 მარტის (3 აპრილის) „პრავდის“ მეთოთხმეტე ნომერში გამოქვეყნდა დასაწყისი ვ. ი. ლენინის პირველი „წერილისა შორიდან“, რომელიც მან შვეიცარიიდან გამოგზავნა. წერილს სათაურად აქვს: „პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი“. ბელადის მგზნებარე სიტყვა კვლავ მოწოდების ხმად გაისმა იმ გაზეთის ფურცლებიდან, რომელსაც მუშები და ჯარისკაცთა მასები „თავიანთ მშობლიურს“ უწოდებდნენ.

— მსოფლიო იმპერიალისტური ომით წარმოშობილმა პირველმა რევოლუციამ იფეთქა. ეს პირველი რევოლუცია ალბათ უკანასკნელი არ იქნება.

ასეთი განსჯვრეტით იწყება ეს ცნობილი სტატია. ვლადიმერ ილიასძემ მასში მოგვცა რუსეთის რევოლუციური ამბების ღრმა ანალიზი, განსაზღვრა პარტიის ამოცანები. მან უაღრესად ნათლად დაგვანახვა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ნამდვილი სახე, მისცა მას გამანადგურებელი დახასიათება, როგორც მთავრობას, რომელშიც მოიკალათეს ჯალათი სტოლიპინის ხელშემწყობებმა — ლვოვებმა, გუჩკოვებმა და სადაც „ტრუდოვიკი“ კერენსკი, „ბალალაიკის როლს ასრულებს მუშათა და გლეხთა მოსატყუებლად“. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც არსებითად ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ნოქარი, მილიარდერთა „ფირმების“: „ინგლისისა და საფრანგეთის“ უბრალო ნოქარია, ხალხს ვერ მისცემს ვერც მშვიდობას, ვერც პურს, ვერც თავისუფლებას.

განსაზღვრავს რა პარტიის ამოცანებს, მის ტაქტიკას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ თავისუფლების ერთადერთი გარანტია და ცარიზმის ბოლომდე დანგრევის ერთადერთი გარანტია არის პროლეტარიატის შეიარაღება, მუშათა დეპუტატების საბჭოს როლის, მნიშვნელობის, ძალის განმტკიცება, გაფართოება, განვითარება.

პროლეტარიატს, აღნიშნავს ლენინი, ორი მოკავშირე ჰყავს: „ჯერ-ერთი, რუსეთის ნახევრადპროლეტარული და ნაწილობრივ წვრილი გლეხური მოსახლეობის ფართო, მრავალ ათეულ-მილიონიანი მასა, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს“ და მეორე, — ყველა მეომარი სახელმწიფოს და საერთოდ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი.

ვლადიმერ ილიას-ძე თავის სტატიას ამთავრებს (სტატიის დაბოლოება გამოქვეყნებულია „პრავდის“ მე-15 ნომერში) სიტყვებით:

„პროლეტარიატი **გამოიყენებს** ახლანდელი გარდამავალი მომენტის **თავისებურებებს** და ამ ორ მოკავშირესთან ერთად შეძლებს წავიდეს და კიდევაც წავა ჯერ დემოკრატიული რესპუბლიკისა და მემამულეებზე გლეხთა სრული გამარჯვების მოსაპოვებლად ნაცვლად გუჩკოვ-მილიუკოვის ნახევრადმონარქიისა, შემდეგ კი **სოციალიზმის** დასამყარებლად, რომელიც ერთადერთი მისცემს ომით განაწამებ ხალხებს **ზავს, პურსა და თავისუფლებას**“.

* * *

„სოციალ-დემოკრატმა“ (პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიუროს და მოსკოვის კომიტეტის ორგანო) 22 მარტს (4 აპრილს) გამოაქვეყნა 18 მარტს მიღებული მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება მოსკოვის საწარმოებში 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების და დროებითი მთავრობისადმი მოთხოვნის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ გამოეცა შესაბამისი დეკრეტი, რათა 8 საათიანი სამუშაო დღე შემოღებული ყოფილიყო მთელ რუსეთში.

* * *

ჯარისკაცთა ფართო მასები, რომლებიც უმთავრესად გლეხთაგან შედგებიან, სულ უფრო ხშირად და გაბედულად გამოდიან ბოლშევიკური ლოზუნგებით. ამ მხრივ დამახასიათებელია ეგრეთწოდებული „ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ძირითადი პროგრამა ფრონტზე“, რომელიც მიიღო 190-ე დივიზიის და სხვა ნაწილების ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაში

ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვართ.

— რამდენი ჰექტარი შემოდგომის ხორბალი გითესიათ? — ვეკითხებით კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანს ა. ბეთეშვილს.

— არ მახსოვს, ბუხჰალტერს ეცოდინება, — გვიპასუხებს იგი.

მოიკითხეს ბუხჰალტერი, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა. კვლავ ვეკითხებით ამხ. ბეთეშვილს:

— რამდენი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესოს წელს კოლმეურნეობამ?

სამწუხაროდ, მან ვერც ამ კითხვაზე გვიპასუხა. ა. ბეთეშვილი კოლმეურნეობის მოანგარიშედ მუშაობს, იგი ისედაც მოვალეა კარგად იცნობდეს კოლმეურნეობის მაჩვენებლებს, მაგრამ საქმის კურსში არ არის.

გასულ წელს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საშემოდგომო თესვის დავალების შესრულებას 47 ჰექტარი დააკლო. ახლა ეს დანაკლისი საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობის გადიდებით უნდა გაათსწორდეს. მაგრამ ამ გადიდებული დავალების შესასრულებლად კოლმეურნეობა მომზადებული არ არის. ჯერჯერობით დათესილია მხოლოდ 83 ჰექტარი ხორბალი და 10 ჰექტარი ქერი. იმისათვის კი, რომ შარშანდელი ჩამორჩენა გამოსწორდეს, საჭიროა კიდევ დათესოს 47 ჰექტარი ხორბალი. ეს დავალება ადვილად შესრულდებოდა, თესლი რომ ჰქონდეთ. ახლა, ხვნა-თესვის ამ დღეებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ქოქოშვილი თესლის შესაძენად მეზობელ კოლმეურნეობებში დარბის.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ იანვარში განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი და კოლმეურნეობის გამგეობას დაავალა 15 თებერვლამდე მოემზადებინა ყველა სახის თესლი, გაძლიერებულ კვებაზე გადაეყვანა დასუსტებული მუშა-პირუტყვი. ამით პარტბიუროს მდივანმა და კომუნისტებმა საქმე დამთავრებულად ჩათვალეს. მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება აღარ გახსენებიათ. ამის გამო ნაკლოვანებები გამოუსწორებელი დარჩა.

სახნავ-სათესი მიწების მთაგორიანი რელიეფის გამო კოლმეურნეობამ საგაზაფხულო სამუშაოთა მეტი ნაწილი მუშა-პირუტყვით უნდა შეასრულოს. კოლმეურნეობას 50 ულელი ხარი ჰყავს, მაგრამ აქედან 24 ხარი ისეა დასუსტებული, რომ სამუშაოდ არ გამოდგება.

სამეურნეო საქმიანობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტბიუროს მივიწყებული აქვს მასებში პოლიტიკური მუშაობა. 20 აგიტატორიდან დაკისრებულ მოვალეობას წესიერად არც ერთი არ ასრულებს.

ასევე ნაკლებად გრძნობენ პასუხისმგებლობას კომუნისტები საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობისათვის სოფელ გვერძინეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. შარშან აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს. საჭირო იყო პარტორგანიზაციას გასული წლის ამ გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები გაეკეთებინა, მიეღწია იმისათვის, რომ კოლმეურნეობა წელს უკეთ მომზადებულიყო საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. მაგრამ ასე არ მოხდა. პარტორგანიზაციას მხედველობიდან გამორჩა ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი და აქამდე არ გაუხდია იგი პარტიული კრების მსჯელობის საგნად. ამიტომაც იყო, რომ გაზაფხულმა კოლმეურნეობას მოუმზადებელს მოუსწრო. გეგმის მიხედვით აქ 40 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესონ, მაგრამ თესლი დღემდე არ მოუმარაგებიათ.

კოლმეურნეობაში ჩაშლილია საგაგტაციო-მასობრივი მუშაობა. ყურადღება არ ექცევა მოწინავე კოლმეურნეების მიღებას სკკპ რიგებში. პარტორგანიზაციის მდივანი დ. ქოქოვი საწყობის გამგედ მუშაობს, მას იშვიათად ნახავთ მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სრულებით არ იგრძნობა პარტიის ქარელის რაიკომის მდივნის მტს-ის ზონაში გ. ჯაბაურის, რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის დახმარება ზღუდერისა და გვერძინეთის კოლმეურნეობებისადმი, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი. მართალია, ინსტრუქტორები ადგილებზე მიდიან, მაგრამ პრაქტიკულად ცოტას აკეთებენ. იშვიათად ესწრებიან პარტიულ კრებებს, არ ეხმარებიან სოფლის კომუნისტებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში.

პარტიის ქარელის რაიკომის მუშაკებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს. აუცილებელია ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ კომუნისტების პასუხისმგებლობა საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაში, მთელი კოლმეურნეობის მუშაობაში.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქართული ბატალიონი ცოცხლობს...

ტექსელზე აჯანყების 12 წლისთავის გამო

დიდი სამამულო ომის პირველი პერიოდი. დროებითი მარცხი. უკანდახევა... მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ძძიმედ დაჭრილი ბურანში ხარ, სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე, სისხლით დაცლილი. ხვლიკისფერ მაზარებიანი ფაშისტები გადგანან თავს და უცხო ენაზე გებურდღუნებიან...

ტყვე ხარ! დაიხურა შენი ცხოვრების წიგნი, იწყება ახალი — რაღაც შეუცნობელი, იდუმალი, ბურუსით მოცული.

— ადექი! — გიყვირიან.

შავი ავტომატი, ლულით დაშვერილი შუბლზე, ჩექმის რკინის ნალიანი წვერის ცემა ჭრილობაზე...

დგები. ტკივილისაგან „ვაი“ რომ დაიყვირო, შემბრალებელსა და მშველელს უნდა ხედავდე. გულში იკლავ ბოღმას. მიათრევ ღონემიხდილ სხეულს, მაგრამ საით? ვის მიჰყვები?!

რა ცხოვრება დაგრჩა უკან, როგორი სამშობლო, რა მოჩუხჩუხე წყაროები, რა ღვინო და პური, რა ცაცხვები და მუხები ჩეროთი და ნიავით მცხუნვარე მზეში!

„დიდ გზაზე“ გამოჰყავხართ უკნიდან ავტომატმოშვერილი. მდორე მდინარეს ეერთდები — ზლაზვნით მიმავალ, შენსავით გატანჯულ, სისხლით დაცლილ ადამიანთა მდინარეს. ხედავ, როგორ ეცემიან გზისპირებზე შენს დღეში მყოფნი და ბადრაგის ცხენის ფლოქვებით ითელებიან, როგორ იცხრილება ავტომატის მოკლე ჯერით თხრილის მღვრიე წყალს სიცხიანი ტუჩებით დაწოფებული შენი დაჭრილი ამხანაგი. განახევრებულნი აღწევთ წამების ბანაკს — მავთულხლართებიან ჯოჯოხეთს, მაიდანეკია იგი თუ ოსვენციმი, კოშუკია თუ ბუხენვალდი. შიმშილით სული გელევა. ბალახს სძოვ. სამზარეულოდან გარეთ გამოღვრილ ნარეცხს ხვრეპ, საქმე ჭიაღუების ძებნამდიც მიდის — ისიც აღარ არის, მოილია! ბალახიც მოილია. მავთულხლართებზე ხან აქ, ხან იქ ხედავ ჩვრად გადაკიდებულ ამხანაგს — მავთულხლართებს იქით ცდილა ბალახის მოწოწკნას და გუშაგის ტყვია კი წამოსწევია. ასეა დღეს, ხვალ, ერთი თვე, ორი, წელიწადი... სიკვდილის აჩრდილი მაჯლაჯუნასებრ გაწვება. უკვე თვალებში ჩასცქერი მას. ბარემ მალე!

ამ დროს ბანაკში გაისმის ძახილი:

— ქართველებო, დაეწყე-ე-ეთ!

რა ბრძანებაა ასე უცნაური? — უნიათოდ გადახედავენ ერთმანეთს სიკვდილისპირას მისული ქართველები.

— მალე, მალე, ცოცხლად!

და გერმანელი ოფიცერი დგება ფლანგზე, მკლავს იშვერს.

დადგა მწყობრში, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო. გაითვალეს მარცხნიდან მარჯვნივ — კარგა ბლომად არიან.

— მაშ ასე. — მანიკენინვით გაშეშებული ოფიცერი რეზინის ჯოხს გაპრიალებულ ჩექმებზე იტლაშუნებს, თვალებს არ ახამხამებს, თითქოს შუშისაა. მწყობრს ამაყად გადახედავს. — ვის სურს შიმშილით სიკვდილი ტყვეობაში?

— „პოლკოვნიკი ვეკითხებათ, ვის სურს შიმშილით სიკვდილი ტყვეობაში“, — განმარტა გერმანელის გვერდით მდგომმა ოფიცერმა.

— ბიჭოს, ქართველი, კაცო! თქვენ ვინ ბრძანდებით, უკაცრავად?! — გაისმის აქეთ-იქიდან.

ეს ძველი ემიგრანტია, ახლა ფიურერის არმიის ოფიცერი.

— სიკვდილი ვის უნდა სურდეს, გვაქვს-თქო, გადაეცი შენს ბატონს, — უთხრა ტყვემ.

— მაშ ასე, — განაგრძობდა ყვირილს გერმანელი. — ვის სურს სიცოცხლე ფიურერის არმიის ფორმაში?

— „ვის სურსო...“

— არ გეჭირდება თარჯიმანი, გვესმის...

— ა? რა ჩოჩქოლია მწყობრში? ვინ იყო?

— „ვინ იყოო, ფიურერის პოლკოვნიკმა“.

— უთარგმნე შენს ბატონს, რომ მე ვიყავი!

— მე დავიძახე... მე ვთქვი...

— შენ, შენ, შენ!.. — იშვერს მაუზერს მათკენ გერმანელი, — მწყობრიდან ათი ნაბიჯით წინ!

— „ათი ნაბიჯით წინაო, გიბრძანებენ!“.

და მერე გასაგებია.

— მაშ ასე. ამათი ბედი მოგელით. მაგრამ მე ვფიქრობ, თქვენ შეგნებულები ხართ და გაუგონებთ ფიურერის სარდლობას. თქვენი ბატალიონი იბრძოლებს საქართველოს თავისუფლებისათვის.

— საქართველოს თავისუფლება აქვს.

— ათი ნაბიჯით წინ!..

მწყობრში ერთიმეორესთან გადადის ჩურჩული: „ძმებო, შევინარჩუნოთ სიცოცხლე, რომ იგი უფრო ძვირად გავყიდოთ სამშობლოსათვის, ვიდრე ათი ნაბიჯის წინ გადადგმაა!“

ასე შედგა უმწეო, უიარაღო, თავდახრილი, მაუზერებით დამორჩილებული ქართველი ტყვეებისაგან ბატალიონი.

ტყვეობას არაფერი ისე სამარცხვინოდ არ აგვირგვინებს, როგორც მოსისხლე არმიის ფორმის ჩაცმა.

ტრაგედია დაიწყო.

ეს მოხდა ორმოცდასამის დასაწყისში პოლონეთის დაბა კრუშინაში.

„ისოა დაგვრჩენია, სისხლით გამოვისყიდოთ!“ „შევფიცოთ, რომ ჩვენი იარაღი არასოდეს არ აღიმართება სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ!“

ცოტა ხანი და იწყება ფარული მოქმედება: გერმანელებს ამდენი და ამდენი თოფ-იარაღი აკლიათ — ღამით გაუტაცნიათ ტყეში პოლონელ პარტიზანებთან. საწყობებიდან ტანსაცმელი და პროდუქტები სადღაც ქრება — პოლონელ პარტიზანებთან გააქვთ. ბატალიონს დღეს ერთი და ორი, ხვალ ათი და ოცი კაცი აკლდება — ტყეში მიიჭრებიან.

მაშინ ბატალიონი კრუშინადან საფრანგეთში გაუყენეს, ერთი თვის შემდეგ ჰოლანდიაში, ქალაქ ზაანდფოორტში. სადაც არ იდგა ბატალიონი, ყველგან პარტიზანებსა და წინააღმდეგობის ფრონტს უკავშირდებოდა.

ორმოცდახუთი წლის თებერვალში უკვე დაეკვეთებული გერმანელთა სარდლობა ბატალიონს ხსნის კონტინენტიდან და გზავნის კუნძულ ტექსელზე ამოცანით — დაიცვას სანაპირო და კუნძული მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში.

ტექსელი ჰოლანდიაში ყველაზე დიდია იმ ჯგუფის ჩრდილოეთ კუნძულთა შორის, რომლებიც იცავენ ვადენზეერში შესასვლელს ჩრდილოეთის ზღვიდან, აგრეთვე ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში შესასვლელს დენ ჰელდერს. კუნძულის მოსახლეობა ცხრა ათასი კაცია, ცენტრი — დაბა დენ ბურხი.

პირველი ნაბიჯი, გადადგმული ქართული ბატალიონის მიერ, იყო მჭიდრო კონტაქტი კუნძულის მოსახლეობასთან, კავშირის დამყარება წინააღმდეგობის ფრონტთან, კერძოდ პარტიზანებთან.

ბატალიონში რვაასამდე ქართველი ირიცხებოდა, დანარჩენი გერმანელები იყვნენ. ქართველები შეიარაღებული იყვნენ მხოლოდ მაშხანებით, ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით, რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო საველე ქვემეხით და მცირეკალიბრიანი ნაღმსატყორცნით. ბატარიებთან მათ არ უშვებდნენ.

ბატალიონის სული და გული, მისი მეთაური იყო შალვა ლოლაძე, ასეულებისა და ოცეულების მეთაურებად იყვნენ ნოე გონგლაძე, სერგო გუჯაბიძე, იაკობ ჯანჯღავა, გივი მინდიაშვილი, ნიკოლოზ მელიქია, აკაკი მაჩაიძე, შემდეგში — აჯანყების უმაგალითო მძაფრ დღეებში რისხვად რომ ატყდებოდნენ ფაშისტებს და მუსრს ავლებდნენ თავიანთი ლომგული ქართველი მეომრებით მტერს. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა დაკისრებული ჰქონდა სერგო გუჯაბიძეს.

ბატალიონი მარტო ვერაფერს გააწყობდა, თუ ანტიფაშისტურად განწყობილ ადგილობრივ მოსახლეობას, კერძოდ წინააღმდეგობის ფრონტს არ დაუკავშირდებოდა. ამ კავშირის დამყარება წილად ხვდათ მიქიაშვილსა და არტემიძეს: ამ უკანასკნელმა, კერძოდ, შემდგომში კარგი სამსახური გაუწია ქართული ბატალიონის ანტიფაშისტური მუშაობის გაჩაღებას.

შურისძიების გრძნობა მოთმინების ფიალას უვსებდა ბატალიონს, რომელიც ისწრაფოდა აჯანყების დაწყებისაკენ. მაგრამ ძნელდებოდა მოკავშირეთა სარდლობასთან კავშირის დამყარება. აქ კი მოხდა ის, რამაც განსაზღვრა ბატალიონის ბედი.

ოთხი აპრილია. კუნძულზე გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. დგება კაცობრიობის გაზაფხულიც — ჰიტლერული საომარი მანქანა იმსხვრევა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი დარტყმებით.

ლოლაძეს, გუჯაბიძესა და მელიქიას იბარებს კუნძულის კომენდანტი ბრაატნერი.

— ხვალ დილის შვიდი საათისათვის ბატალიონი დატოვებს კუნძულს და გაემგზავრება კონტინენტისაკენ. სამი დღის სურსათი და იარაღი მზად არის. მოამზადეთ ბატალიონი! — ასეთი იყო ბრძანება.

— არის მოვამზადო ბატალიონი! — ლოლაძის ეს სიტყვები კბილებიდან იყო გამოცრილი, ბოღმისა და შურისძიების გრძნობით სავსე გულიდან ამოხეთქილი. დადგა მოქმედების დრო.

... დენ ბურხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვალდ-კაპფის ტყეში ლოლაძე, ჯანჯღავა და გუჯაბიძე იწვევენ ბატალიონის მეთაურთა შემადგენლობის სასწრაფო თათბირს.

გულჩათხრობილი ტყის სიღრმე. ოცი ქართველი მეომარი მდუმარედ დგას მეთაურის წინაშე და განკარგულებას ელოდება.

— ძმებო, ქართველებო! დადგა შურისძიების მომენტი. დილით ბატალიონი უნდა დაიძრას კონტინენტისაკენ, რომ იქ ან განაიარაღონ, ან მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბან. ეს არ მოხდება. ჩვენი ბატალიონი აქ იბრძოლებს. მტერი ჩვენ აქ გვყავს, ჩვენს ირგვლივ. ეს მტერი ფაშიზმია! აქ ვიბრძოლებთ!

— მხოლოდ აქ! — უდასტურებს სერგო გუჯაბიძე.

— აჯანყება! — მხოლოდ ამაშია ხსნა! — უმატებს ნოე გონგლაძე.

— დაე ტექსელმა წაგვრეცხოს სამარცხვინო ლაქა, — გუგუნებს დანარჩენთა ხმა.

— სმენა იყოს, ოფიცრებო! — ლოლაძე ხსნის პლანშეტს, მიწაზე აფენს საბრძოლო რუკას. დავალებებს იღებენ გონგლაძე, მელიქია, მაჩაიძე, მინდიაშვილი, ქარქაშაძე. გამოსვლა — ხვალ, ღამის პირველ საათზე. სიგნალი — ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი მტრის ჩრდილოეთ ბატარიისაკენ.

უპირველეს ამოცანად იყო ბუნკერებში ქართველებთან ერთად მყოფი გერმანელების „მოხსნა“ უხმაუროდ — ხიშტით, დანით, თოფის კონდახით. შემდეგ კომენდატურის განადგურება და შეტევა ნავსადგურისაკენ, აეროდრომისაკენ, ბატარიებისაკენ — მთელი გარნიზონის მოსპობა.

...ჩრდილოეთის ღამე. თვალთან თითს ვერ მიიტან. დენ ბურხის ეკლესიის მაღალი კოშკიდან ზარი რეკავს. პირველი საათია. ეს ბატალიონია რვაასი კაცისაგან შემდგარი, თუ ერთი დაჭრილი ლომია მტერზე ფაფარაყრილი! ბნელ ბუნკერებში ლაპლაპებენ დანები, ელავენ ხიშტები. ისმის ქართული ძახილი: „ეკვეთეთ“. ფაშისტები დაყვირებასაც ვეღარ ასწრებენ.

აქ — გერმანელთა კომენდატურა ამოქლეტილია. — მხოლოდ ბრაატნერი აღარ ჩანს — საყვარელთან ათევდა ღამეს; იქ — ერთმა ოცეულმა დახოცილ გერმანელთა სატელეფონო სადგური და რაცია დაიკავა. რაცია აუცილებელია, რომ გერმანელებმა მაშველი ძალების გამოძახება ვერ შეძლონ. მელიქიას ასეული სამხრეთ ბატარიას უტევს. ლოლაძე ხან ტყვიამფრქვევს მიუწვება — ჯერს ჯერზე აყრის ჩრდილოეთ ბატარიას, ხანაც ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის რისხვას ატეხს თავს მტერს. გონგლაძე და გუჯაბიძე ნავსადგურსა და შუქურას უტევენ, ქარქაშაძე და ჯანჯღავა თავიანთი მეომრებით ცხრილავენ ფაშისტებს აეროდრომზე.

ხან აქ, ხან იქ ისმის შეძახილები: „ყოჩაღ, ქართველია!“ „დასცხე სამშობლოსათვის!“.

როგორც მღელვარე ზღვა ქარიშხლის შემდეგ, ისე მიწყნარდა კუნძული მხოლოდ დილას. აჯანყების ღამეს ასობით ფაშისტმა ჰპოვა სიკვდილი კუნძულის მიწაზე.

ტექსელი ქართველების ხელშია. დენ ბურხის თავზე სსრ კავშირისა და ჰოლანდიის დროშები ფრიალებს. მოსახლეობა მიესალმება აჯანყებულთ. მათ მხარეზე ასობით ჰოლანდიელი ანტიფაშისტი გადმოდის. ქალები მშობლიურად უვლიან დაჭრილ ქართველებს, პროდუქტებით ამარაგებენ ბატალიონს, გულში იკრავენ მამაც მეომრებს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია საქმისა — ნავსადგური და ბატარიები კვლავ მტრის ხელშია. შეიარაღებული მხარდაჭერა არსაიდან ჩანს. ქართველებმა ჰოლანდიელთა დახმარებით შეაკეთეს მაშველი ნავი და გაგზავნეს დელეგაცია იგლისის ნაპირებისაკენ — თხოვნით გადმოსხან დესანტი.

სიკვდილი ან გამარჯვება! — ასეთია გადაწყვეტილება. ზეიმობდა ტექსელი ფაშისტებისაგან განთავისუფლებას, მიღწეულ ქართველთა სისხლით. მაგრამ მტერმა ძალა მოიკრიბა, ნავსადგურს მოაწყდნენ გემები ჯარის ნაწილებით, გამაგრებულმა ბატარიებმა იწყეს დენ ბურხისა და ტექსლასათვის ყუმბარების დაშენა. უარტილერიო, ახლა უკვე ხუთასიღა ქართველის წინააღმდეგ ოთხი ათასამდე გერმანელი იდგა ტანკებით, ცეცხლსაფრქვევებით, ბატარიებით. ცეცხლის ალში ეხვეოდა დენ ბურხი და ტექსლა. სისხლის მდინარე ერთვოდა ჩრდილოეთის ზღვას. ვის შეუძლია აღწეროს ქართველთა უმაგალითო მამაცობა, ვინ ჩამოთვლის გმირებს, დაცემულთ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში — გუჯაბიძე და ღუდუშაური, მინდიაშვილი და ანთიძე, ქუხალეიშვილი და დიდებულიძე, ჯანაშია და ტატუნაშვილი, მატარაძე და დევიძე, ქავთარაძე და გოგილაური... ასობით არიან ისინი.

რა ბედი ეწია ბატალიონის წარგზავნილთ, დიდი ჭირვარამით ლონდონს ჩაღწეულთ დესანტის გადმოსხმის კეთილშობილური თხოვნით? — ინგლისის ხელისუფლებმა ისინი... დააკავეს.

ეს იყო ვერაგობა, ინგლისის სარდლობისათვის ჩვეული.

დესანტზე იმედგაცრუებული ქართველები გადავიდნენ პარტიზანულ ბრძოლაზე — წელამდე ჭაობში, ტყეებში, უჭმელნი, ტანგაუხდელნი, უძინარნი ებრძოდნენ ისინი მტერს. ძვირად უჯდებოდათ ჰიტლერელებს ქართველის სიკვდილი, ერთ დაღუპულ ქართველზე მტრის ხუთი ჯარისკაცი და ოფიცერი მოდიოდა. ფაშისტებმა აჯანყების პერიოდში სამი ათასამდე კაცი დაკარგეს. ასამდე ჰოლანდიელმა პატრიოტმა ანტიფაშისტმა დადო თავი ქართველების გვერდით უთანასწორო ბრძოლაში. კვლავ სახრჩობელები, ცეცხლი და სიკვდილი გაამეფეს კუნძულზე ფაშისტებმა. მაგრამ მათ მოსვენება არა ჰქონდათ ქართველთა ტყვიებისაგან. მხოლოდ 18 მაისს შეწყდა ეს სისხლისღვრა, კანადიდან დესანტის გადმოსხმის შემდეგ.

ერთ-ერთი უკანასკნელი დაეცა კაპიტანი ლოლაძე, როცა მტერი ტყეს ცხრილავდა ტყვიამფრქვევების ცეცხლით. დაეცა უთანასწორო ბრძოლაში მამაცი ქართველი, ლეგენდარული ბატალიონის მეთაური. ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ეძებდნენ ფაშისტები ლოლაძეს, და მის ცოცხლად მპოველს ჯილდოს ჰპირდებოდნენ. ნიშნად ხეებზე გაკრულ ბრძანებებში ასახელებდნენ ლოლაძის მაღალ შუბლს და ახოვნებას.

დიახ, მას ჰქონდა მაღალი, ნათელი შუბლი, მტერთან ბრძოლაში რომ გასწირა შორეულ ტექსელზე.

...შავ ზღვას ათასობით კილომეტრით დაშორებულ კუნძულ ტექსელზე, ჩრდილოეთის ზღვის პირას გათხრილია ქართველ მებრძოლთა საძმო საფლავი, მადლიერი ტექსელის მოსახლეობის მიერ ვარდ-ყვავილებით შემკული და ობელისკით დამშვენებული.

გადარჩენილნი სამშობლოში ცხოვრობენ და მუშაობენ, ხალხის სიყვარულით და პატივისცემით გარემოსილნი.

ბატალიონი დაიღუპა? — არა! ქართული ბატალიონი ცოცხლობს ხალხის გულში.

ვლ. თოლორდავა.

ახალი მანქანა-იარაღები სოფელს

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველო მტს-ებსა და კოლმეურნეობებს სისტემატურად უგზავნის მანქანა-იარაღებს, ტრაქტორებს, კომბაინებს, გუთნებს, კულტივატორებს, სათესებს, ფარცხებს, საოშებს, ხორბლის დამხარისხებლებს, სათიბ მანჭანებს, თივის საწნეხებს, ფოცხებს, სალეწებს, ხეხილის შესაწამლავ მანქანებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

მომარაგების სამმართველომ მიმდინარე წლის ორ თვესა და ოც დღეში მიიღო და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს გაუგზავნა 115 კომბაინი, 160 ტრაქტორი, 122 სატრაქტორო გუთანი, კოლმეურნეობებს მიაწოდა გუთნები ცოცხალი გამწევი ძალისათვის 1.558 ცალი, სილოსის საჭრელები — 60 ცალი, აგრეთვე 107.500 ტონა მინერალური სასუქი. კოლმეურნეობები უახლოეს დროში დამატებით კიდევ მიიღებენ 102.900 ტონა მინერალურ სასუქს.

პენსიები კოლმეურნე მწყემსებს

გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ბევრი მოწინავე მეცხოველე ჰყავს. თავიანთი შემოქმედებითი შრომით მათ თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებაში.

ასეთი მოწინავე ადამიანების რიცხვს ეკუთვნიან მოხუცებული მეცხოველეები ს. ჩოხელი და შ. წიკლაური, რომლებმაც ათობით წელი ცხვრისა და საქონლის მწყემსობაში გაატარეს და თავიანთი დაუზარელი და მუყაითი შრომით მოწინავე მეცხოველეთა რიგებში ჩადგნენ. ამას წინათ კოლმეურნეობის საერთო კრებამ ამჟამად შრომისუნარმოკლებულ მწყემსებს ს. ჩოხელს და შ. წიკლაურს ფულადი პენსიები დაუნიშნა.

გ. ბეჟაური.

გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა რაიონის ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელი — სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა დაჯილდოვა კინოდანადგარით. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ლომაძეს და მერგოლურ ნ. ლომაძეს მიეცათ ვერცხლის მედალი და საათი. ვერცხლის მედლით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის აგრონომი გ. კუნჭულია, მწველავი მ. ქერებკინა, ბრიგადირი რ. კომახიძე.

ვერცხლის მედლით და ველოსიპედით დაჯილდოებული არიან ლანჩხუთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ა. ქინქლაძე და ლანჩხუთის მტს-ის აგრონომი ბ. თოხაძე.

მეცნიერება და ტექნიკა

რენტგენის აპარატი ლითონის სტრუქტურის ანალიზისათვის

დამთავრდა მონტაჟი რენტგენის ახალი უნივერსალური აპარატის — „ურს-70-1“-ისა, რომელიც დაიდგა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში. იგი გამოიგონეს და შექმნეს საბჭოთა მეცნიერებმა, დაამზადეს ლენინგრადის ერთ-ერთ ქარხანაში.

რენტგენის უნივერსალური აპარატი ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ლაბორატორიაში.

* * *

რენტგენის უნივერსალური აპარატით ხდება ლითონის სტრუქტურის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზი, რომელიც სრულ წარმოდგენას იძლევა ლითონის ამა თუ იმ დანიშნულებისათვის გამოყენებაზე.

აპარატი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: ოპერატიული მაგიდისა და მართვის პულტისაგან. ანალიზს შემდეგნაირად ახდენენ: ლითონის ნიმუშს ფირთან ერთად ათავსებენ რენტგენის კამერაში. პულტის საშუალებით ჩართავენ დენს და აშუქებენ ლითონს. სტრუქტურის გამოსახულება სრულად აისახება ფირზე. შემდეგ ხსნიან რენტგენის კამერას, იღებენ ფირს და იქვე ფოტოლაბორატორიაში ამუღავნებენ. ფოტოგრაფირებული სტრუქტურით ზუსტად ანგარიშობენ აუსტენიტის, მარტენსიტის, პერლიტის, ცემენტიტის პროცენტულ რაოდენობებს ფორმულების დახმარებით. ეს საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, აღნიშნული ლითონი ავტომობილის რომელი დეტალისათვის გამოვიყენოთ.

რენტგენული ანალიზი უკეთდება როგორც თერმულად დამუშავებულ ისე თერმულად დაუმუშავებელ დეტალებს. ამ აპარატით შეიძლება გაკეთდეს აგრეთვე ლითონის სპექტრული ანალიზი, ე. ი. სპექტრის საშუალებით გავიგოთ ლითონის ქიმიური შემადგენლობა. ამიტომ არის, რომ ამ აპარატს უნივერსალური აპარატი ეწოდება.

რენტგენის აპარატით ლითონის შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს წარმოებას მაღალხარისხოვანი ავტომობილების გამოშვებაში.

ა. ბერუჩევი,
ინჟინერი.

სისხლდენის შემაჩერებელი ახალი ღახჯი

ცნობილია, რომ 1873 წლიდან დღემდე მედიცინაში კიდურების არეში სისხლდენის შესაჩერებლად იყენებენ ესმარხის სისტემის ლახტს. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოში თითქმის 500-მდე სხვადასხვა სახის სისხლდენის შემაჩერებელი აპარატი და ლახტი იქნა გამოცდილი, მაგრამ პრაქტიკაში აღიარება ვერც ერთმა მათგანმა ვერ ჰპოვა.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის მეცნიერმა მუშაკმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ტოგონიძემ გამოიგონა სისხლდენის შემაჩერებელი ახალი ლახტი, რომელიც დღემდე არსებულ ლახტსა და აპარატებზე სრულყოფილი და იოლი გამოსაყენებელია.

ა. ტოგონიძე ახალი სახის სისხლდენის შემაჩერებელი ლახტის დადების დროს.

* * *

ტოგონიძის ლახტი შედგება დურალუმინის საკუთარი კონსტრუქციის 30-გრამიანი აბზინდისაგან, 90 სანტიმეტრი სიგრძისა და 3 სანტიმეტრი სიგანის რეზინის ღვედისაგან. ასეთი მარტივი კონსტრუქციის გამო ლახტით სარგებლობა შეუძლია ყველას, ამასთან მისი ხმარება მოსახერხებელია ავადმყოფის სხვადასხვა მდგომარეობაში (ფეხზე დგომა, წოლა და სხვ.). ლახტი იხმარება როგორც სისხლდენის შესაჩერებლად, ისე სისხლის გადასხმის ან ინტრავენური სხვა ინექციების გაკეთების დროს.

ტოგონიძის ლახტს ესმარხის ლახტთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს: იგი ნაკლებ ტრავმულია, აბზინდის თავისებურება რეზინის ღვედის ფიქსაციის საშუალებას იძლევა მის ყოველ მონაკვეთში და საჭირო არ არის ღვედის ბოლომდე დახვევა, როგორც ესმარხის ლახტით ხმარების დროს. ეს კი საშუალებას იძლევა ლახტი სწრაფად იქნას დადებული. ლახტის რეგულაცია (მოჭერა, მოშვება) საჭიროების შემთხვევაში მის მოუხსნელად შეიძლება. თვითდახმარების მიზნით ადამიანს ლახტის გამოყენება შეუძლია ოთხივე კიდურზე.

ლახტი გამოსცადეს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის კლინიკებში და ერთხმად იქნა აღიარებული მისი ღირსება. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ მოიწონა სისხლდენის შემაჩერებელი ახალი ლახტი და ა. ტოგონიძეს საავტორო უფლება მიანიჭა. წარმოებს ლახტის მასობრივი გამოშვება.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბროშურა აზოტის შესახებ

„აზოტი, შეერთებული კაპიტალიზმთან, არის ომი, განადგურება, სიკვდილი. აზოტი, შეერთებული სოციალიზმთან, — ეს არის მაღალი მოსავალი, შრომის მაღალი ნაყოფიერება, მშრომელების მაღალი მატერიალური და კულტურული დონე“. გაზეთ „პრავდის“ ამ სიტყვებით იწყება დოცენტ ვლ. ჩაგუნავას ბროშურა „აზოტი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში“, რომელიც გასულ წელს გამოსცა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

ბროშურაში გასაგებად და შინაარსიანად არის გადმოცემული აზოტის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის საქმეში. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ავტორს მოჰყავს მთელი რიგი ცნობები, თუ რა ამოცანებია დასახული აზოტის წარმოების გადიდების დარგში მეექვსე ხუთწლედში სსრ კავშირსა და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკაში. საქართველოში აზოტოვანი სასუქების წარმოება 1960 წლისათვის გადიდდება 8-ჯერ, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას აზოტზე ისეთი ძვირფასი ტექნიკური და მარცვლეული კულტურებისათვის, როგორიც არის შაქრის ჭარხალი, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, სიმინდი და სხვ. რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის გაზის ბაზაზე ამჟამად მთელი ციკლით მუშაობს აზოტ-სასუქის ქარხანა, რომელიც საკმაო რაოდენობით უშვებს სასუქს.

ბროშურაში დამაჯერებლად, მეცნიერული მონაცემების მიხედვით გადმოცემულია აზოტის აღმოჩენისა და მისი მიღების გაუმჯობესების მოკლე ისტორიული ცნობები. საინტერესოდ არის მოთხრობილი ბმული (შებოჭილი) და სინთეზური აზოტის მიღების ხერხები და მეთოდები, მისი გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და სხვ.

როგორც ცნობილია, მეცნარისა და ცხოველის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა აზოტი. უაზოტოდ არ არის ცილა, უცილოდ — პროტოპლაზმა, ხოლო უპროტოპლაზმოდ — სიცოცხლე.

ავტორი, დეტალურად აღწერს რა სინთეზური ამონიაკის მიღების ხერხებს და მის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის, სამართლიანად აღნიშნავს, „...რომ სინთეზური ამონიაკის წარმოებამ არა მარტო საფუძველი ჩაუყარა მრავალი სახის ორგანული სინთეზური ნაწარმის მიღებას, არამედ მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა ჩვენი დროის იმ უდიდეს აღმოჩენებში, რომლებიც დაკავშირებულია ატომის ენერგიის გამოყენების პრობლემასთან“ (გვ. 21).

მაგრამ ამ სასარგებლო ბროშურას ნაკლოვანებებიც აქვს. ნაშრომში გვხვდება არასწორი დებულებები, ტერმინები და განმარტებები. მაგალითად, მე-12 გვერდზე ავტორი წერს: „კულტურული ნიადაგისათვის აზოტის შეტანის ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე არასტრუქტურული და დაქვეითებული (!) ნიადაგისათვის“. ეს არასწორი განმარტებაა.

ჯერ-ერთი, „დაქვეითებული“ ნიადაგების კლასიფიკაციას ნიადაგმეცნიერება არ იცნობს. მეორეც, უსტრუქტურო, ღარიბი, ალივიალური, გაეწრებული ნიადაგები სასუქებს გაცილებით მეტი დოზით საჭიროებენ, ვიდრე სტრუქტურიანი ნიადაგები. ეს მეცნიერული გამოკვლევებით და საწარმოო პრაქტიკითაც დიდი ხანია ცნობილი და დადასტურებულია.

მართებული არ არის ისეთი განმარტებაც, რომ სოფლის მეურნეობის ნოვატორების მიერ „ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლის მიღება დიდად არის დამოკიდებული აზოტოვანი სასუქების წესიერ გამოყენებაზე“ (გვ. 12). ამის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, გამოდის, რომ ნოვატორებს, და ისიც ერთ ჰექტარზე, შეუძლიათ მხოლოდ სასუქების გამოყენებით მიიღონ სარეკორდო მოსავალი. ცხადია, ეს სწორი არ არის. ამჟამად არა მარტო ცალკეული ნოვატორები, არამედ მთლიანად რგოლი, ბრიგადა და კოლმეურნეობა სასუქების გამოყენებით ასობით ჰექტარზე იღებენ სიმინდის, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, შაქრის ჭარხლის, ხორბლისა და სხვა კულტურების სარეკორდო მოსავალს, უფრო მეტიც, სიმინდის და სასილოსე ნედლეულის სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ ნაწვერალზე თესვითაც კი.

ცნობილია, რომ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა წარმოებს არა მარტო აზოტოვანი სასუქების შეტანით, არამედ ისეთი მცენარეებითაც (ხანჭკოლა, სოია და სხვა სასიდერაციო კულტურები), რომლებიც, ახდენენ რა ჰაერის თავისუფალი აზოტის ფიქსაციას და ნიადაგში დაგროვებას, ამასთან ხელს უწყობენ ნიადაგში არსებული, მცენარისათვის შეუთვისებელ ფორმაში მყოფი აზოტის გადაყვანას შესათვისებელ ფორმაში. ეს საკითხი ნაშრომში ძალიან მკრთალად არის გაშუქებული. ამ პროცესების ვრცლად, მარტივად გადმოცემა ნაშრომს უფრო საინტერესოს გახდიდა.

აღნიშნული ნაკლოვანებები ვერ ჩრდილავს ბროშურის მნიშვნელობასა და ღირსებას. საჭიროა ეს შენიშვნები გათვალისწინებულ იქნას ბროშურის ხელმეორედ გამოცემის დროს.

დ. ფაილოძე.

დამთავრდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესია

ულან-ბატორი, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორში დამთავრდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეორე მოწვევის დიდი სახალხო ხურალის მეოთხე სესია. სესიამ მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრებას. დეპუტატებმა შეიტანეს ბევრი წინადადება, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს მონღოლეთის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სესიაზე სიტყვები წარმოთქვეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ.

დიდი სახალხო ხურალის სესიამ მიიღო კანონი „სახელოვანი დედის“ ორდენის დაწესებისა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების შესახებ, დასვენებისწინა და დღესასწაულისწინა. დღეებში სამუშაო დღის ორი საათით შემცირების შესახებ მშრომელთა ხელფასის შეუცვლელად. სესიამ აირჩია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო და დაამტკიცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

დეპუტატთა განსახილველად წარდგენილი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი განიარაღების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწოდებამ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შემცირდეს შეიარაღებული ძალები და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის დეპუტატთა მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით სესიის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: გამოთქვამს რა მშვიდობისმოყვარე მონღოლი ხალხის ნებას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ სახალხო ხურალს მიაჩნია, რომ თანამედროვეობის ცენტრალური პრობლემა, განიარაღების პრობლემა მალე და ეფექტიანად უნდა გადაიჭრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა განიარაღების შესახებ, საბჭოთა მთავრობის არაერთგზისი წინადადებანი განიარაღების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ატომგულის იარაღის აკრძალვის, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირების საკითხებზე მკაფიოდ მოწმობენ იმ სამშვიდობო პოლიტიკის გულწრფელობასა და თანმიმდევრულობას, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ახორციელებს. საბჭოთა მთავრობის კონკრეტულ წინადადებებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განიარაღების პრობლემის რადიკალური გადაჭრისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალი, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, იმედს გამოთქვამს, რომ ყველა ქვეყნის პარლამენტები სერიოზულად და ყურადღებით მოეპყრობიან განიარაღების საკითხის უსწრაფესი გადაჭრის კეთილშობილურ საქმეს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ სახალხო ხურალს მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სესიამ, რომელიც ამჟამად ლონდონში მიმდინარეობს, უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების საკითხზე და რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რომლებიც შეტანილია ამ სესიაზე, შეესაბამებიან მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს განიარაღების საკითხის უსწრაფესად გადაჭრის შესახებ.

სუკარნომ იკისრა ინდონეზიის ახალი მთავრობის შედგენის ამოცანა

ჯაკარტა, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო შეხვდა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რათა განეხილათ ინდონეზიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. შეხვედრის შემდეგ სუკარნომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს პირადად შეადგინოს საგანგებო პარლამენტგარეშე კაბინეტი, რომელიც შეძლებს შექმნას ეროვნული საბჭო პრეზიდენტის კონცეპციის შესაბამისად. სუკარნომ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ გამოთქვა, რომ მზად არის მიიღოს მისი მოწვევა კაბინეტში მონაწილეობის შესახებ.

ირანის ახალი მთავრობის შემადგენლობა

თეირანი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს დოქტორმა ეგბალმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ახალი მთავრობის შედგენა, ირანის შაჰს წარუდგინა თავისი კაბინეტის შემდეგი შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი—ე. მანუჩეჰრ ეგბალი, საგარეო საქმეთა მინისტრი —ალი გოლი არდალანი, შინაგან საქმეთა მინისტრი — ფათჰოლა ჯალალი, იუსტიციის მინისტრი — მოჰამედ სორური, ფინანსთა მინისტრი — ალი ასკერ ნასერი, სამხედრო მინისტრი—აბმედ ვოსუგი, განათლების მინისტრი მაჰმუდ მეჰრანი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — კასემ აშრარი, მონოპოლიების და საბაჟოების მინისტრი — ალი აქბარ ზარგამი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი—ჰოსეინ რაჯი, შრომის მინისტრი—აღახან ბაზტიარი, ვაჭრობის მინისტრი —მოსტაფა ტაჯადოდი, სოფლის მეურნეობის მინისტრი—ჰასან ალავი, მრეწველობისა და სამადნეების მინისტრი — შარიფ იმამი, გზათა მინისტრი — ვალი ანსარი.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰოსეინ ალა სასახლის მინისტრად დანიშნა.

ინდოეთის თვალსაჩინო სახალხო მოღვაწის განცხადება

დელი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც პრესტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, ინდოეთის ყოფილმა გენერალ-გუბერნატორმა რაჯაგოპალაჩარიამ ინდოეთის მთავრობას მოუწოდა გაფრთხილოს ინგლისი, რომ ინდოეთი გამოვა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობიდან, თუ ინგლისს მთავრობა ატომგულის იარაღს გამოცდის წყნარ ოკეანეში. საზოგადოებრივმა აზრმა, განაცხადა რაჯაგოპალაჩარიამ, მტკიცედ დაგმო ეს გამოცდა.

აზომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხისათვის

(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში წინასწარი განხილვის ზოგიერთი შედეგი)

ლონდონი, 3 აპრილი. (საკდესი). როგორც ინგლისის პრესის ცნობებიდან ჩანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლის მტკიცე მოთხოვნით განსახილველად პირველი დასვა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის საკითხი. აქ ცნობილი გახდა, რომ 3 აპრილს ქვეკომიტეტში დამთავრდა ამ საკითხის წინასწარი განხილვა. სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ა. ზორინი.

მან აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტს განსახილველად გადაეცა საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც აწარმოებენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს გამოცდა. უკვე გამართული დისკუსიის მსვლელობაში საბჭოთა კავშირმა განახორციელა ახალი ღონისძიებანი, რათა დაეახლოებინა პოზიციები და უფრო მალე მიეღწია შეთანხმებისათვის. საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები თანახმა არ არიან ამჟამად სავსებით თქვან უარი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდაზე, საბჭოთა მთავრობა მზად არის როგორც ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი დათანხმდეს გარკვეული ვადით ასეთი გამოცდის შეჩერებაზე.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ წინადადების შემოტანისას საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა შემდეგი მოტივებით:

შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ კეთილნებაყოფიერ გავლენას მოახდენდა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე. ამავე დროს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი იქნებოდა მთელი ატომური პრობლემის გადაწყვეტისათვის — ამ იარაღის გამოყენების აკრძალვის, წარმოების შეწყვეტისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღებისათვის, ამასთან არსებული ატომური და წყალბადის ბომბების მარაგის მოსპობისათვის. ატომური და წყალბადის ბომბების ექსპერიმენტული აფეთქების შეწყვეტა სავსებით აგვაცილებდა თავიდან სერიოზულ საფრთხეს ადამიანების ჯანმრთელობისათვის, რასაც იწვევს რადიაცია, რომელიც წარმოიშობა ამ გამოცდის განხორციელების შედეგად.

გაიხსენა რა, რომ საბჭოთა კავშირმა მოითხოვა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის საკითხი გამოიყოს განიარაღების საერთო პრობლემიდან და გადაიჭრას დამოუკიდებლად ისე, რომ ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა არ დაუკავშირდეს განიარაღების სხვა საკითხებზე შეთანხმებას, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგატებმა, ეწინააღმდეგებოდნენ რა ქვეკომიტეტში გამოცდების შეწყვეტის საკითხის გამოყოფას, ამასთან ერთად ვერ წარმოადგინეს ვერავითარი დასაბუთებული მოსაზრება თავიანთი პოზიციის დასაცავად. ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის საკითხის განხილვამ ქვეკომიტეტში, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამ გადაუდებელი საერთაშორისო საკითხის უსწრაფესი დადებითი გადაჭრის მიღწევა.

შეეხო რა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოსაზრებას, რომ გამოცდის აკრძალვა მთლიანად არ გვაცილებს თავიდან ატომური და წყალბადის იარაღის საფრთხეს, ვ. ა. ზორინმა თქვა, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვა, რა თქმა უნდა, არ წყვეტს და ვერც გადაწყვეტს მთელ ატომის პრობლემას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქვეკომიტეტის წევრებმა უკვე ახლა არ უნდა გადადგან კონკრეტული და რეალური ნაბიჯები, რომლებიც საქმით გამოიწვევენ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და მისი წარმოების შეწყვეტის პრობლემის გადაჭრას. გამოცდის შეწყვეტა პირველი ასეთი ნაბიჯი იქნებოდა.

აღნიშნა რა, რომ დასავლეთის წარმომადგენლები ისწრაფვიან ყოველნაირად შემცირებული სახით წარმოგიდგინონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის მავნე შედეგები, სსრ კავშირის წარმომადგენელმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს არც შემცირებული და არც გადიდებული სახით წარმოადგინოს ის მავნე შედეგები, რომლებსაც კაცობრიობისათვის შეიცავს რადიაცია, რაც წარმოიშობა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდისას. მსოფლიოს მეცნიერთა შორის არსებობს ცნობილი უთანხმოება იმის მიმართ, თუ ატომის აფეთქებით რადიაციის რა რაოდენობა წარმოადგენს საფრთხეს და ასეთი რადიაციის რა რაოდენობა არის დასაშვები. მაგრამ ყველა მეცნიერი ეთანხმება იმაში, რომ რადიაციას გარკვეული ზიანი მოაქვს კაცობრიობის როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობებისათვის. ასევე ცხადია ის, რომ ატომური ან წყალბადის ბომბის ყოველი ახალი აფეთქება აძლიერებს ატმოსფეროს მოწამლვას რადიაქტიური პროდუქტებით.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადებას, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება გამოცდის შეწყვეტაზე ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების შეწყვეტამდე, ვ. ა. ზორინმა თქვა: ამ საკითხისადმი ასე მიდგომა იმას ნიშნავს, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხი გაურკვეველი დროისათვის გადაიდოს. გამოცდის შეწყვეტაზე შეთანხმებას რეალური მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ იგი განხორციელდებოდა ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების შეწყვეტამდე.

ვ. ა. ზორინმა აგრეთვე აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ საჭიროა მოვიფიქროთ ქვეკომიტეტში კონტროლის საკითხი ახალი ეგრეთწოდებული ტექნიკური მონაცემების გამო, რომ თითქოს შეუძლებელია აღმოვაჩინოთ ზოგიერთი აფეთქება დიდ მანძილზე. სსრ კავშირის წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს განცხადებანი ტოვებენ ხელოვნური მოტივების შთაბეჭდილებას, რომლებსაც არ ამართლებს საქმის არსი, რადგან ისინი არ წამოუყენებიათ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს გენერალურ ასამბლეაზე სულ ამ ორი თვის წინათ.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თავისი განცხადებით ქვეკომიტეტში ამ საკითხზე არსებითად დაადასტურა, რომ ატომური და წყალბადის იარაღის აფეთქება არ შეიძლება აღმოუჩენელი დარჩეს.

ცხადყო რა, რომ უსაფუძვლოა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა ყველა მოსაზრება საბჭოთა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, სსრ კავშირის წარმომადგენელმა თქვა:

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ეს მოსაზრება ასახავს ატომგულის ფაქტორზე ორიენტაციის პოლიტიკას, რაზედაც შეთანხმდნენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ბერმუდესის თათბირზე. ამ სახელმწიფოთა განზრახვა თავიანთი პოლიტიკა კვლავაც აშენონ ატომურ და წყალბადის იარაღზე განსაზღვრავს მათს პოზიციას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში.

რაღას უპირდაპირებენ დასავლეთის სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები და ინგლისი, განაგრძო ვ. ა. ზორინმა, საბჭოთა კავშირის ნათელ და მარტივ წინადადებებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ან გარკვეული ვადით მისი შეჩერების შესახებ? ისინი სჯერდებიან სურვილს გამოიჩინონ თავშეკავება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის განხორციელების დროს და წინადადებას იძლევიან დაიდოს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის აფეთქებების წინასწარი რეგისტრაციის შესახებ, ასეთი აფეთქებებისადმი შეზღუდული მეთვალყურეობის შესახებ, აგრეთვე მეთვალყურეობისათვის და გამოცდის შესაძლებელი შეწყვეტის ან შეზღუდვის საკითხის შემდგომი შემუშავებისათვის საკონტროლო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ლლოიდს თემთა პალატაში 1 აპრილს ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისადმი კითხვებით სურდა აღბათ შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ახლა სსრ კავშირზეა დამოკიდებული ატომური ან წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ან შეჩერების საკითხის გადაჭრა. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ სსრ კავშირის პოზიცია როდი წარმოადგენს გამოცდის შეწყვეტის ან შეჩერების საკითხის დადებითად გადაწყვეტის დაბრკოლებას. თვით დასავლეთის წარმომადგენლები, როგორც, მაგალითად, ბ-ნი სტასენი და ბ-ნი ნობლი, ხმამაღლა ამბობენ, რომ აფეთქების რეგისტრაცია, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ, არ წყვეტს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს და თავიდან არ აგვაცილებს ასეთი გამოცდის მავნე შედეგებს. უფრო მეტიც, შეიძლება მთელი გარკვეულობით ითქვას, რომ ამ წინადადების მიღება მხოლოდ გაამართლებდა ატომური და წყალბადის იარაღის შემდგომ გამოცდას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, თქვა დასასრულ ვ. ა. ზორინმა, დაიკავეს ისეთი პოზიცია, რომელიც ვერ გადაჭრის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს. მან იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რომლებსაც ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, გადასინჯავენ თავიანთ თვალსაზრისს და მიიღებენ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის საკითხის დადებით გადაჭრას და ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით დაეთანხმებიან წინადადებას ასეთი გამოცდის შეჩერების შესახებ იმ ვადით, რომელზეც შეთანხმება შეიძლებოდა.

ერადი გეჭდვა



პატარა მკითხველებს ძალიან უყვართ ლამაზად გაფორმებული წიგნები და ჟურნალები. ისინი გულგრილად ვერ გაუვლიან წიგნის მაღაზიის ვიტრინას, სადაც ფერადილუსტრაციებიანი ზღაპრების ან სხვა წიგნებია გამოფენილი. კარგად გაფორმებული, ფერადი ილუსტრაციანი წიგნი, აგრეთვე ლამაზი ეტიკეტებით დამშვენებული სხვადასხვა საჭონელი მოზრდილებსაც იზიდავს.

ფერად ბეჭდვას თბილისში აწარმოებენ საქართველოს სსრ სახურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს 1951 წელს დაარსებული ფერადი ბეჭდვის სტამბა.

ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის მთავარი დანიშნულებაა კვების მრეწველობის პროდუქციისათვის ეტიკეტების ბეჭდვა. აქ წლის განმავლობაში 650 მილიონი ცალი სხვადასხვა ეტიკეტი იბეჭდება.

ფაბრიკამ აითვისა ოთხფერად ბეჭდვის ტექნოლოგია და თანდათან სულ უფრო მეტ შეკვეთებს იღებს გამომცემლობებისა და სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებისაგან. აქ იბეჭდება ჟურნალი „დილა“, ჟურნალ „პიონერის“ ყდა. გასულ წელს აქ პირველად მრავალფერად დაიბეჭდა პირველი კლასის სახელმძღვანელო „დედაენა“, რომელიც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემა. ამჟამად წარმოებაშია ფერადი სამაგვშო წიგნები „ძია მიხო“ და „მელიას ოინები“. წელს ეს საწარმო დაბეჭდავს 10 სამაგვშო ფერად წიგნს.

მრავალფეროვანი ბეჭდვა საინტერესო და რთული პროცესია. ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. აქ დგას 8 სწრაფმბეჭდავი ოფსეტური მანქანა, ამათგან სამი ორსაღებავიანი. აი როგორ ხდება ბეჭდვა. იღებენ მხატვრის მიერ შესრულებულ ორიგინალს, რომლის გადაღება ფოტოფირებზე ხდება სარეპროდუქციო აპარატით იმდენჯერ, რამდენი ფერიც უნდა დაიბეჭდოს. ამ აპარატით ხდება სურათის გადაღება საჭირო ფერის გამოყოფით, აგრეთვე დედნის გადიდება და დაპატარავება.

ფოტოფირები რეპროდუქციის შემდეგ მუშავდება რეტუშორ-მხატვრების მიერ. ამ საქმეს ფაბრიკაში ხელმძღვანელობს ოსტატი ა. მამრიკაშვილი, რომელიც წელს დაუსწრებლად ამთავრებს მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტს. ფაქიზად მუშაობენ აგრეთვე რეტუშორები მ. სამოილოვა, მ. ხუბაშვილი და სხვ.

დამუშავებული ფოტოფირები გადაეცემა საგადამღებო განყოფილებას, სადაც ხდება განმეორებითი ექსპოზიცია სპეციალურად დამუშავებული ალუმინის ან თუთიის ფირფიტებზე. ამით მთავრდება სბეჭდი ფორმის დამზადება. შემდეგ ეს ფირფიტები გაიმართება ოფსეტური მანქანების ცილინდრებზე. მხოლოდ ყველა ამ პროცესის გავლის შემდეგ იწყება მათი ბეჭდვა ორიგინალის ფერების მიხედვით. რა რთულიც უნდა იყოს დედანი, მას ჰყოფენ 6 ფერი, მაშინ როცა, ვთქვათ, ახეთივე სურათი ძველებური ლითოგრაფიული წესით მოითხოვდა 10-12 ფერ საღებავს. მანქანა მუშაობს ოთხი მთავარი ფერით — ყვითელი, წითელი, ლურჯი, შავი ფერებით. ამ ფერების კომბინაციით იღებენ სხვადასხვა ფერებს — მწვანეს, ფოსფორს, იისფერს და სხვ. ზაგლეთიდან ყველა ფერი დაბეჭდილ ფერების ზედაპირზე — თითქმის მწვანეა. ამ ტექნოლოგიებს რეტუშორის ნამუშევრის მიხედვით შეუძლიათ მიიღონ აგრეთვე მოყვითანო, მომწვანო, მოლურჯო და სხვ. ელფერები. საღებავების შემზადება ხდება ფაბრიკის საკუთარ საწარმოო ლაბორატორიაში.

ბევრი რამ ახალი გაკეთდა ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში. აქ გაიხსნა ანილოპარაფინის საამქრო. იგი ამზადებს კარამელის შესახვევ მასალას, რომელიც მანამდე მოსკოვის ან ლენინგრადის ფაბრიკებში მზადდებოდა. ძველი ლითოგრაფიული მანქანების ოფსეტური მანქანებით შეცვლამ საჭირო გახადა მთელი შენობის რეკონსტრუქცია ელექტროდანადგარებთან ერთად, რაც 1,5 მილიონამდე მანეთი დაჯდა. შეძენილ იქნა ოქროთი მოსავარაყებელი წნეხები და სარელიეფო დაზგები, გაკეთდა სპეციალური მოწყობილობა ქაღალდის აკლიმატიზაციისათვის, მოეწყო ცენტრალური გათბობა და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით დღითიდღე აუმჯობესებს ბეჭდვის ხარისხს. ბარატ ე. ნაზაროვისა და ინჟინერ ე. წივწივაძის წინადადებით მოეწყო ფოტოფირების სპეციალური საშრობი, აგრეთვე სპეციალური მოწყობილობა დამუშავებული ალუმინის ფირფიტების გასაშრობად. მათივე წინადადებით მიმდინარეობს ექსპერიმენტული მუშაობა ლილვაკების ადგილზე დასამზადებლად.

ფერადი ბეჭდვა ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალი საქმეა და მას დიდი მომავალი აქვს.

ე. მამალაძე.

სურათზე: რეტუშორ-ტექნოლოგი ა. მამრიკაშვილი (მარჯვნივ) მეეტაპე გ. ქრისტესაშვილთან ერთად ამოწმებს ანაბეჭდის ხარისხს ფერების მიხედვით.

ნორჩ მუსიკოსთა კონცერტი

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მეტად საინტერესო კონცერტი გაიმართა. კონცერტის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სოლისტებად პირველად გამოვიდნენ ნორჩი მუსიკოს-შემსრულებლები — თბილისის მესამე და მეოთხე მუსიკალური სკოლების მოსწავლეები.

კონცერტი დაიწყო მესამე სკოლის ვიოლონის კლასის (ხელმძღვანელი ს. კრეპნი) 8 მოსწავლის გამოსვლით, რომლებმაც ორკესტრთან ერთად შეასრულეს კომპოზიტორ ვ. გალდის „სავიოლინო კონცერტ ლა-მაჟორის“ პირველი ნაწილი.

მოსწავლეებმა ზ. ზაკუტაშვილმა, გ. თარაშვილმა და ლ. ტატიანმა შეასრულეს ა. ბალანჩივაძის „საფორტეპიანო კონცერტი № 3-ის“ სამივე ნაწილი. ბეთჰოვენის „საფორტეპიანო კონცერტი № 1-ის“ პირველი ნაწილი შეასრულა შ. ალანიამ, ხოლო მოცარტის კონცერტი „რე-მინორი“ ი. არსენიშვილმა.



მე-3 მუსიკალური სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე რუსუდან გავაშელი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ასრულებს ჰაიდნის კონცერტის მე-3 ნაწილს.

მეორე განყოფილება დაიწყო კონცერტის მონაწილეთა შორის ყველაზე ნორჩი მუსიკოსების — მ. დოიჯიშვილისა და რ. გავაშელის გამოსვლით, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ჰაიდნის „საფორტეპიანო კონცერტ რე-მაჟორის“ მეორე და მესამე ნაწილი. ე. ლეონსკაიამ შეასრულა ბეთჰოვენის „საფორტეპიანო კონცერტი № 1-ის“ პირველი ნაწილი. საღამო დამთავრდა მოცარტის „საფორტეპიანო კონცერტ ლა-მაჟორით“, რომლის პირველი ნაწილი შეასრულა ჟ. ბინიაშვილმა, ხოლო მეორე და მესამე ნაწილი — ნ. კალაშნიკოვამ.

ნორჩ მუსიკოსთა კონცერტს მრავალი მსმენელი დაესწრო, რომლებმაც კარგი შეფასება მისცეს როგორც მოსწავლეების, ისე მათი პედაგოგების მუშაობას და დირიჟორ ჯ. გოკიელს, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი კონცერტის წარმატებას.

გ. აბესაძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი, **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე, **გრიბოედოვის სახელობის** — ფილუმენა მარტურანო, **სომხური დრამის** — ხაჩატურ აბოვიანი, **მუსიკალური კომედიის** — ნანატრი საქმრო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოქროს კავეჭრჩიანები (პიონერიენტი № 27, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ალისფერი ყვავილი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (11 ს.), ბურატინოს თავგადასავალი (2 ს.), **ფილარმონია** — ქართული ესტრადის კონცერტი (საზამთრო თეატრი, 9 ს.), საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

ᲙᲘᲝᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოქტომბერი, ისანი, **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის** კლუბები — ჯარისკაცები, **სპარტაკი,** თბილისი, **გორკის სახელობის** კულტურის სახლი — მის მენდი (მეორე სერია), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** — სახელის მოხვეჭისათვის, **კოლმეურნე, სარეწაო კოოპერაციის** ცენტრალური **კულტურის სახლი** — მეჯოგის სიმღერა, **რუსთაველის სახელობის** — მხატვრული ფილმი, **კომკავშირელი** — მირზა გალიბი, **26 კომისრის სახელობის** — კუნძულ საიპანის ტრაგედია, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **ოფიცერთა სახლი** — ჩვეულებრივი ადამიანი, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — კნოპკა და ანტონი, **დიდუბე** — ორი ოკეანის საიდუმლოება, **ყაზბეგი** — გაცრუებული ოცნებები, **კიროვის სახელობის პარკი** — ლედი ჰამილტონი, **კომუნარების ბაღი** — ბატონი 420 (I და II სერია).

ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ
6 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

20.00 — გადაცემა „ქართული კინოს ისტორიიდან“. კინოდრამატურგ კ. გოგოძის გამოსვლა და ნაწყვეტები კინოფილმებიდან; 20.30 — კინოჟურნალი; 20.40 — მხატვრული ფილმი „მე და ჩემი ცოლი“.

მოქალაქე **მარიამ ვლადიმერის ასულმა გლუხოვამ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში საბჭოს ქ. № 212, აღძრა საქმე ქ. იაკუტსკში მცხოვრებ მოქალაქე **იგორ ვიაჩესლავის-ძე გლუხოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილი თამარ, სიძე შ. ხორავა, და თამარ, რძალი ვარო ჯანდიერები; ლამარა, მალხაზ ჩიქვანაიები იუწყებიან

ალექსანდრე დავითის-ძე დავითაშვილი-ჯანდიერის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV, 3 ს. ქ. თელავში, გამოსვენება ბინიდან, კურდღელაურის II შესახვ. № 8.

და არევატა ისაევა, ა. და კ. ბასილიები, მ. და ვ. ბუცხრიკიძეები ოჯახებით იუწყებიან

სოფიო მიხეილის ასულ ხოჯაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-IV, 7 ს. I ტუბსაავადმყოფოს პროზექტურაში (საბურთალო), გამოსვენება 7-IV, 3 ს. იქიდანვე.

„საქკვებმრეწვის“ თანამშრომლები იუწყებიან

მარიამ ბახვას ასულ გვალიას

გარდაცვალებას.

დედა აგრაფინა, მამა პავლე, და ეთერ, სიძე ს. ხელაძე; ლ. ჭეიშვილი იუწყებიან

ოთარ პავლეს-ძე ჭელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV, 6 ს. ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ტელმანის ქ. № 66.

ძმა არამ, და ფროსია, რძალი მარიამ ოჯახებით იუწყებიან

ვახტანგ ეგიზარის-ძე ავაქოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6-IV, 4 ს. შირშოვის ქ. № 42.

შვილი ქეთო, და ნინო, ძმა სოლომონ, სიძე ვ. კინწურაშვილი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ვარვარა ესტატეს ასულ მაისურაძე-გვანცელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-IV, 8 ს. გამოსვენება 7-IV, 4 ს. მარჯანიშვილის ქ. № 67.

და ბებულია ცხაკაია შვილებით იუწყება

ავქსენტი კონსტანტინეს-ძე ასათიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-IV სოფ. პირველ ხორგაში (ხობის რ.).

შვილები ირაკლი, მანია, გიორგი, ბაბულია, რძალი ტაისა, სიძე დ. ცქიტიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**მინადორა ლავრენტის ასულ ჩიგოგიძის